ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 149

15 აპრილი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.21.002.058.01.525, №01.19.21.002.058.01.526, №01.19.21.002.058.01.527, №01.19.21.002.058.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.21.002.058.01.525, №01.19.21.002.058.01.526, №01.19.21.002.058.01.527, №01.19.21.002.058.01.528) მდებარე უძრავი ქონებისპირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისმთავრობის2022 წლის 13 აპრილის №22.531.563 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა №12-ში, მეოთხე სართულზემდებარე 46.46 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.058.01.525) 11.93 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.058.01.526), 10.38 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.058.01.527) და 10.70 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.058.01.528)პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნოდარი შანყულაშვილისთვის (პ/ნ. 13001058991) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე